საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-99

ქ. თბილისი

30/01/2019

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელი პირველი სვირის ტერიტორიაზე შპს „გეო მეტალის“ მეტალურგიულ წარმოებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის მე-5
პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელი პირველი სვირის ტერიტორიაზე შპს „გეო მეტალის“ მეტალურგიულ წარმოებაზე სკოპინგის დასკვნა №7 (16.01.2019);
2. შპს „გეო მეტალი“ ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის №7 (16.01.2019) შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „გეო მეტალს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „გეო მეტალის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი